ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშგო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშგო სასარგებლო გამოყენების ვადებში ღირებულებაზე მათი განაწილებით:

- | | |
|----------------------------|--------|
| • შენობა-ნაგებობა | 5% |
| • მანქანა - დანადგარები | 8% |
| • ოფისის აღჭურვილობა | 20% |
| • სამედიცინო ინვენტარი | 15-20% |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 20% |
| • ავეჯი და სხვა ძირითადები | 15-20% |

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სესხები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით. არსებული სესხები წარმოადგენს საკრედიტო ინსტიტუტებისგან მიღებულ ვადიან სესხებს და საკრედიტო ხაზს, რომლის მიღებაც და გადახდაც ხორციელდება ლიმიტის ფარგლებში ათვისებული თანხების პროპორციულად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

ვალდებულების არსებითი ნაწილი შედგება უცხოურ ვალუტაში წარდგენილი ვალდებულებისაგან, რომელიც წარმოქმნილია საქონლის იმპორტის დროს და მასზე განსაზღვრულია შესაბამისი დაფარვის ვადები.

ღივიდენდები

ღივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული ღივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

სასესხო ვალდებულებები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (გამსესხებლისთვის გადასახდელი ფულის რაოდენობის მიმდინარე ღირებულება, გარიგების ხარჯების ჩათვლით). მიღებული სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და წარდგენილია ფინანსურ ხარჯებში.

სესხით მომსახურებაზე განხორციელებული გადახდები (საპროცენტო ხარჯი) აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდის დანახარჯზე რომელშიც მოხდა მისი გაწევა. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები თუ კომპანიას არ აქვს უპირობო უფლება საანგარიშგებო თარიღის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადაავადოს ვალდებულება.

სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება
ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან

კომპანია ამონაგებს აღიარებს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

კომპანიის მიერ კლიენტებისთვის გაწეული ჯანდაცვის მომსახურების მოთხოვნა კმაყოფილდება დროთა განმავლობაში, თუ მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს კომპანიისგან მიღებულ სარგებელს. ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული ამონაგები მოიცავს სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურებისთვის მიღებული ან მისაღები საზღაურის სამართლიან ღირებულებას, და შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

► ჯანდაცვის მომსახურების ამონაგები სახელმწიფოსგან-კომპანია სახელმწიფო პროგრამით დაზღვეული პირებისგან მიღებულ ამონაგებს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპისა და კონტრაგენტებს შორის შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

► ჯანდაცვის მომსახურების ამონაგები სადაზღვევო კომპანიებისგან – კომპანია სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიის მიერ დაზღვეული პირებისგან მიღებულ ამონაგებს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპისა და კონტრაგენტებს შორის შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

► ჯანდაცვის მომსახურებიდან თანაგადახდის შედეგად მიღებული და სხვა ამონაგები-კომპანია თანაგადახდიდან მიღებულ და სხვა ამონაგებს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპისა და კომპანიის მიერ დამტკიცებული ფასების შესაბამისად. გაყიდვებიდან შემოსავალი მიიღება ნაღდი ან უნაღდო წესით. სამედიცინო მომსახურებიდან მიღებულის სხვა ამონაგები მოიცავს ამონაგებს მუნიციპალიტეტიდან რომლებთანაც კომპანიას სახელშეკრულებო ურთიერთობა აქვს. მომსახურების გაყიდვის აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც გაიწია მომსახურება და იანგარიშება სახელშეკრულებო ტარიფების მიხედვით.

ამონაგები წარმოადგენს კორექტირების და ფასდაკლებების გათვალისწინებით, რომლებიც კონტრაგენტებთან (ძირითადად, სახელმწიფოსთან) დეტალური ანგარიშების შეჯერების შედეგად წარმოიშობა. წარდგენილ შესრულებაზე დაკორექტირებული თანხები ასახულია პერიოდის შემოსავალში და შემცირებულია გამომუშავებული მომსახურების ღირებულება შესაბამისი კორექტირებული თანხით, რომლის ანაზღაურებაც აღარ ხორციელდება დამკვეთის მიერ.

ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება

ჯანდაცვის მომსახურების ღირებულება წარმოადგენს გაწეული ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებულ ამონაგებთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის სამედიცინო პერსონალის ხელფასებსა და გასამრჯელოს, მასალებსა და მარაგებს, კომუნალური მომსახურებისა და სხვა პირდაპირ დანახარჯებს.

ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს საიჯარო ხარჯებს, საოფისე ხარჯებს, კომუნიკაციის და კომუნალურ ხარჯებს, ასევე ხარჯებში გაერთიანებულია საწვავის ხარჯები და უიმედო მოთხოვნები რომელიც ჩამოიწერა მიმდინარე წელს.

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოუქმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 3 - ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან

პერიოდის შემოსავლები მოიცავს საანგარიშო პერიოდში გაწეული სამედიცინო მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს.

	2023	2022
შემოსავალი საყოველთაო პროგრამებიდან	9,081,247	13,610,381
შემოსავალი ვერტიკალური პროგრამებიდან	344,634	3,403,057
შემოსავალი სადაზღვევო კომპანიებიდან	623,397	494,711
შემოსავალი ფიზიკური პირებისგან	2,635,765	2,110,550
მუნიციპალიტეტიდან მიღებული შემოსავლები	477,736	316,822
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	13,162,779	19,935,521

შენიშვნა 4 - ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება

საანგარიშო პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს სამედიცინო მომსახურების გაწევაზე გახარჯული მარაგების და მცირეფასიანი ინვენტარის თვითღირებულებას რომელმაც 2023 და 2022 შემდეგია:

	2023	2022
პირდაპირი ხელფასები	7,907,581	8,203,499
მედიკამენტები და სახარჯი მასალები	2,862,296	5,194,180
კომუნალური ხარჯები	1,235,104	1,367,093
ექიმების მომსახურების ხარჯები	-	109,200
კვების ხარჯები	-	28,191
სხვა ხარჯები	7,766	394
სულ თვითღირებულების ხარჯი	12,012,747	14,902,557

შენიშვნა 5 - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

პერიოდის საოპერაციო ხარჯები მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

	2023	2022
ხელფასის ხარჯები	891,677	716,959
ცვთის ხარჯები	3,991,497	2,946,894
მომსახურების ხარჯები	938,793	544,384
სამეურნეო ხარჯები	141,423	308,996
საწვავის ხარჯები	88,261	134,045
სოციალური დანარიცხები	120,572	118,314
საკანცელარიო ხარჯები	31,252	88,123
კომპიუტერის ხარჯები	102,424	47,045
წარმომადგენლობითი ხარჯები	1,831	31,108
კომუნიკაციის ხარჯები	14,956	20,212
მივლინების ხარჯები	73,287	16,177
საკონსულტაციო ხარჯები	61,606	12,000
საიჯარო ხარჯები	-	400
ანარიცხები	57,046	376,405
სხვა საერთო ხარჯები	144,997	188,850
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	6,659,620	5,549,913

სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 6 - ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სამედიცინო ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ ძირითადი საშუალებები
ბალანსი 31/12/2023	73,583	718,368	10,968,874	294,586	747,282	6,407,459	-	362,498	19,572,651
დანამატები	-	520,080	294,708	22,018	168,067	2,637,500	160	67,697	3,710,231
რეკლასიფიცირება	-	(155,458)	155,458	(1,076)	(49)	(82,332)	-	(121)	(83,579)
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-
ცვეთა პერიოდისათვის	-	-	(698,709)	(181,171)	(272,737)	(2,695,120)	(7,612)	(114,209)	(3,969,557)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31/12/2022	73,583	353,746	11,217,417	454,816	852,001	6,547,411	7,452	409,131	19,915,557
დანამატები	-	195,779	560,827	367,593	328,167	2,646,474	-	429,516	4,528,356
რეკლასიფიცირება	-	-	-	-	-	-	-	-	-
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	(28,113)	(2,679)	(23,792)	-	(76)	(54,659)
ცვეთა პერიოდისათვის	-	-	(681,656)	(144,835)	(199,066)	(1,804,530)	(10,369)	(85,384)	(2,925,841)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31/12/2021	73,583	157,966	11,338,245	260,172	725,578	5,729,259	17,821	65,076	18,367,701
თვითღრებულება 31/12/2021	73,583	157,966	13,270,751	594,009	908,842	7,522,905	52,814.35	114,336	22,695,207
დაგროვილი ცვეთა 31/12/2021	-	-	(1,932,505)	(333,838)	(183,263)	(1,793,647)	(34,993)	(49,260)	(4,327,506)

სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 7 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე აღრიცხულია სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს მედიკამენტებს და სახარჯს მასალებს.

	31.12.2023	31.12.2022
სამედიცინო მარაგები	2,300,579	4,821,469
ნედლეული და მასალები	3,194	2,256
საწვავ-საცხები მასალები	5,373	6,331
გაუფასურებული და დაზინებული მარაგების ანარიცხები	-	(586,932)
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2,309,146	4,243,124

შენიშვნა 8 - მიმდინარე მოთხოვნები

ბალანსზე მოცემული სავაჭრო მოთხოვნები შემცირებულია უიმედო დებიტორული დავალიანების თანხებით.

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები	1,707,888	3,851,507
გადახდილი ავანსები	95,381	508,242
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	17,565	3,553
ანარიცხები	(377,160)	(320,114)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,443,675	4,043,189

შენიშვნა 9 - ფული და ფულადი ექვივალენტები

პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებული ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს მხოლოდ ეროვნულ ვალუტას სალარო და საბანკო ანგარიშებზე.

	31.12.2023	31.12.2022
ლარი საბანკო ანგარიშებზე	32,366	393,995
ნაღდი ფული სალაროში	7,524	6,894
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	39,890	400,889

სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 10 - სასესხო ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022
საფინანსო დაწესებულებებიდან მიღებული ღირებულება	877,063	1,309,343
სულ სასესხო ვალდებულებები	877,063	1,309,343

*ქვემოთ მოცემულია საანგარიშო პერიოდში სასესხო ვალდებულებების მოძრაობა:

	2023	2022
ნასესხები ფულადი სახსრები	1,309,343	2,061,409
გადახდილი ძირითადი თანხა	(508,361)	(567,110)
სესხის ჩამოწერა	(20,300)	
საკურსოს ხვაობა	96,381	(184,956)
სულ ნასესხები სახსრები	877,063	1,309,343
გრძელვადიანი სესხი	461,949	593,793
მიმდინარე ნაწილი	415,114	715,551

შენიშვნა 11 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო ვალდებულებები	3,674,168	2,950,521
მიღებული ავანსები	899	4,249
გადასახდელი ხელფასები	528,154	554,311
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,203,221	3,509,081

12. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები. კომპანიის აქტიური სასამართლო დავების ძირითადი ნაწილი მოიცავს საქონელის და მომსახურების შეძენიდან წარმოქმნილ კრედიტორულ დავალიანებაზე დაწყებულ დავებს.

აქტიური სასამართლო დავების და მათგან მოსალოდნელი შედეგების ღირებულება არ არის არსებითი ღირებულების, შესაბამისად სასამართლო დავების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე არა არსებითია.

სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება
ფინანსური ანგარიშგებისას სსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

- (ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
 - (ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტიორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;
 - (გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;
 - (დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმადლესი რანგის ხელმძღვანელობა;
 - (ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.
- თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები:		
დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები:	2023	2022
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	246,628	147,563
	246,628	147,563

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:		
დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:	2023	2022
მარაგების შეძენა	11,899	1,608
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	5,371
მომსახურების შეძენა	810,241	864,905
მარაგების რეალიზაცია	-	21,363
	822,140	893,247

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:		
დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:	2023	2022
მენეჯმენტის ანაზღაურება	105,000	122,815

სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

14. ბალანსის შემდგომი მოვლენები

კომპანიის ხელმძღვანელობას არ გააჩნია ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის გაგრძელების უნარი როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუმცა აუდიტის შესამოწმებელ და ბალანსის შემდგომ პერიოდში იყო მნიშვნელოვანი ცვლილება, კერძოდ:

მნიშვნელოვან გავლენას წარმოადგენს გავლენა შესყიდვების წესზე: კერძოდ საავადმყოფო ვედარ განახორციელებს შესყიდვებს პირდაპირი შესყიდვის გზით და 2024 წლიდან დაეუქმდება რეზერვაციის საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“. აღნიშნული ცვლილება დადებითად აისახება კლინიკის გადამხდელუნარიანობის შესაფასებლად. სხვა ცვლილებები, რომლებსაც შეუძლია კომპანიის ფუნქციონირებადობაზე მოახდინოს გავლენა ამ ეტაპზე მოსალოდნელი არ არის.

მმართველობის ანგარიში

სს „საჩხერის რაიონული საავადმყოფო“ (ს/ნ 239403463), როგორც იურიდიული პირი დაარსდა 2003 წლის 26 ნოემბერს რეორგანიზაციის შედეგად.

რეორგანიზაციამდე არსებული სუბიექტები იყვნენ:

- სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო;
- შპს საჩხერის რაიონული პოლიკლინიკა;
- შპს საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთის ამბულატორია;
- შპს ჭალის ამბულატორია;
- შპს კობოხის საექიმო ამბულატორია;
- შპს ჭორვილის ამბულატორია;
- შპს ჯალაღრთის საექიმო ამბულატორია;
- შპს გორისის საექიმო ამბულატორია;
- შპს ჭალოვანის საექიმო ამბულატორია.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საავადმყოფოების საქმიანობები, ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა, ფართო პროფილისა და სპეციალიზებული საავადმყოფოების საქმიანობა, ჯანდაცვის, განათლების, კულტურული მომსახურების და სხვა სოციალური მომსახურების საქმიანობების რეგულირება. კლინიკის მიზანია საჩხერის მუნიციპალიტეტის და არა მხოლოდ ამ მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისთვის მაღალი ხარისხის სამედიცინო სერვისების მიწოდება. სს „საჩხერის რაიონული საავადმყოფო მრავალპროფილური დაწესებულებაა და მოიცავს შემდეგ განყოფილებებს:

- თერაპია;
- პედიატრია;
- კარდიოლოგია;
- კარდიოქირურგია;
- ქირურგია;
- მეან-გინეკოლოგია;
- ნეფროლოგია;
- ინფექციური განყოფილება;
- ემერჯენსი;
- უროლოგია;
- ოფთალმოლოგია;
- ტრავმატოლოგია;
- ნევროლოგია;
- პოლიკლინიკა;
- ლაბორატორია;
- დიაგნოსტიკა.

სს „საჩხერის რაიონული საავადმყოფო“ აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, ასევე კლინიკაში მუშაობენ შესაბამისი დარგის წამყვანი სპეციალისტები, რაც კლინიკას საშუალებას აძლევს მაღალი ხარისხის და სანდოობის მომსახურება გაუწიოს პაციენტებს. კლინიკაში მომსახურების მიღება შესაძლებელია როგორც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით დაზღვეული პაციენტებისათვის, ასევე იმ პაციენტებისათვის, რომლებიც სარგებლობენ კერძო დაზღვევებით - რაც ასევე კომფორტულს ხდის მომსახურებას. კლინიკაში დასაქმებულია 500-ზე მეტი თანამშრომელი როგორც სამედიცინო, ასევე დამხმარე საქმიანობების მიმართულებით.

(მმართველობითი გაგრძელება)

2020-2022 წლებში საქართველოსა და მსოფლიოში არსებული პანდემიიდან გამომდინარე, კლინიკა მუშაობდა განსაკუთრებულ რეჟიმში. ის გადაკეთებული იყო ე.წ. კოვიდ-კლინიკად და წვლილი მიუძღვის მრავალი სიცოცხლის გადარჩენაში.

სს „საჩხერის რაიონული საავადმყოფო“ მუდმივად ზრუნავს განვითარებაზე. გამომდინარე იქიდან, რომ ამ სფეროში კონკურენცია მაღალია და ასევე მაღალი ტემპებით მიმდინარეობს დარგის განვითარება, კლინიკა მუდმივად ცდილობს არ ჩამორჩეს არსებულ სიახლეებს და სათანადოდ გაუმკლავდეს ბაზარზე არსებულ გამოწვევებს. ჩვენთვის პრიორიტეტულია სამედიცინო სერვისების კიდევ უფრო გაფართოვება, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, გუნდური მუშაობის ჩამოყალიბება, პროგრამული სერვისების განახლება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, გაიდლაინებისა და პროტოკოლების ხელმისაწვდომობა. კლინიკა ასევე აპირებს ცნობადობის გაზრდის მიზნით მიმართოს სხვადასხვა მარკეტინგულ ღონისძიებებს.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანია რეგულარულად ახორციელებს ბაზრის კვლევას თითოეული ახალი მიმართულებისა და სეგმენტისთვის სადაც შესაძლებელია ახალი ტექნოლოგიისა და მეთოდოლოგიის დანერგვა. ყოველი საანგარიშო წლის დასასრულს ბაზარზე არსებული სიახლეების გათვალისწინებით იგეგმება შემდეგი წლისთვის კლინიკისთვის შესაძენი ახალი ტექნოლოგიებისა თუ ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების დაგეგმვა.

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

2021 წელს 2020 წელთან შედარებით შემოსავლები მკვეთრად გაიზარდა რაც განაპირობა COVID-19-ის გავრცელებამ. 2021 წლიდან პანდემიის გავრცელების შემცირების კვალდაკვალ შემცირდა შემოსავლები, რამაც გამოიწვია 2022 და 2023 წლებში დაუფარავი ზარალის დაფიქსირება. შემოსავლების შემცირების ფონზე ორგანიზაცია გადავიდა ხარჯების ოფტიმიზაციის პოლიტიკაზე, რაც განაპირობებს საქმიანობის ეფექტურ მართვას და არსებული შემოსავლებით ორგანიზაციის გაუნაწილებელ მოგებაზე გასვლას.

ორგანიზაციის ფინანსური მაჩვენებლები :

სრული შემოსავლის ანგარიშგება:

	2023	2022
ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	13,162,779	19,935,521
ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	(12,012,747)	(14,902,557)
მთლიანი მოგება	1,150,032	5,032,964
რეკლამისა და ტრანსპორტირების ხარჯი	(824,795)	(939,639)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(6,659,620)	(5,549,913)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	379,265	-
საოპერაციო მოგება	(5,955,119)	(1,456,588)
ფინანსური შემოსავალი	550,483	17,371
საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი	(97,471)	183,451
მოგება დაბეგვრამდე	(5,502,107)	(1,255,766)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
წლის წმინდა მოგება	(5,502,107)	(1,255,766)
სხვა სრული შემოსავალი	-	-
წლის სრული მოგება	(5,502,107)	(1,255,766)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	31.12.2023	31.12.2022
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	19,572,651	19,915,557
არამატერიალური აქტივები	52,002	68,992
სულ გრძელვადიანი აქტივები	19,624,652	19,984,549
სასაქონლო მატერიალური მარაგები	2,309,146	4,243,124
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,443,675	4,043,189
ფული და ფულადი ექვივალენტები	39,890	400,888
სულ მოკლევადიანი აქტივები	3,792,711	8,687,201
სულ აქტივები	23,417,363	28,671,750
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	17,775,322	17,775,322
აკუმულირებული მოგება	(172,305)	5,329,802
სულ კაპიტალი	17,603,017	23,105,124
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხი	461,949	593,793
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	461,949	593,793
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,203,221	3,509,081
სესხის მიმდინარე ნაწილი	415,114	715,551
საგადასახადო ვალდებულებები	734,062	748,201
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	5,352,397	4,972,833
სულ ვალდებულებები	5,814,346	5,566,625
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	23,417,363	28,671,750

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

- კომერციული რისკი;
- საოპერაციო რისკი;
- სტრატეგიული რისკი;
- სავალუტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი.

კომერციული რისკი - კომპანიისთვის კომერციულ რისკს წარმოადგენს მაღალი კონკურენციის პირობებში პოზიციების დაკარგვა. სწორედ ამიტომ კლინიკა მუდმივად ცდილობს ფეხი აუწყოს სიახლეებს და პაციენტებს შესთავაზოს მაღალი ხარისხის მომსახურება; 2021-2022 წლებში ამ მიმართულებით კლინიკამ გააქეთა მნიშვნელოვანი ინვესტიციები: შეიძინა ახალი ანალიზატორი, რენტგენის აპარატი, ენდოსკოპიის სისტემა, ხელოვნური სუნთქვის აპარატები და სხვა მნიშვნელოვანი აქტივები.

საოპერაციო რისკი - კომპანია მუდმივად ექვემდებარება მონიტორინგს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების განმახორციელებლების მხრიდან, შესაბამისად ყოველთვის არსებობს სანქციების დაკისრების ან ჯარიმის თანხით სახელმწიფოს მხრიდან მისაღები თანხების შემცირების რისკი.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესრულების პროცესში საკანონმდებლო ბაზით მოთხოვნილია რიგი პროცედურების ასახვა სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში, რომელთა დიდი ნაწილი არ უკავშირდება პაციენტის სამედიცინო მომსახურებას და არ ცვლის შემთხვევის შესახებ არსებით ინფორმაციას, კერძოდ პაციენტის დაწესებულებაში მისვლის დრო, ფორმა, შეტყობინების დრო, პაციენტის გადახდის ქვითრის ნომერი და ა. შ. ასეთი ტიპის ტექნიკური ხარვეზები იწვევს საჯარიმო სანქციების დაკისრებას. პროგრამის განმახორციელებლის მხრიდან შემოწმების და კონტროლის განხორციელების შედეგად დაკისრებული ჯარიმის აღსრულებას, განმახორციელებელი იწყებს ჯარიმის დაკისრებიდან ერთი კალენდარულ თვეში, მიუხედავად იმისა, კომპანია ეთანხმება თუ არა დაკისრებულ საჯარიმო სანქციას.

კომპანიას აქვს შემუშავებული პოლიტიკა და პროცედურები შესაბამისობის ვალდებულებების მისაღებად ხარისხის მენეჯმენტი, დოკუმენტაციის მონიტორინგი და ა, შ. სამედიცინო დოკუმენტაციის აღრიცხვისთვის კომპანიაში მოქმედებს შიდა მონიტორინგის სამსახური. კომპანიის იურიდიული სამსახური ჩართულია მნიშვნელოვანი კონტრაქტის განხილვის პროცესში. ფინანსური დეპარტამენტი უწევს მონიტორინგს საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებებს და მასთან შესაბამისობას აკონტროლებს;

სტრატეგიული რისკი - ვინაიდან ჩვენი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა ჩამოყალიბების პროცესშია, იგი მუდმივად განიცდის ცვლილებებს დახვეწის პროცესში. აღნიშნული რა თქმა უნდა გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე, რადგან მას უწევს უმოკლეს ვალებში გადაწყობა ახალ სტანდარტებზე. მსგავსი ტიპის ცვლილებას მიეკუთვნება 2022 წელს საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული ცვლილება, რომლის თანახმადაც ექიმებისა და ექთნებისათვის განისაზღვრა მინიმალური საათობრივი სახელფასო ანაზღაურება.

სავალუტო რისკი - ვინაიდან კომპანია ხშირად ახდენს დიდი ღირებულების სამედიცინო აქტივების იმპორტს, შესაძლოა ვალუტის კურსის მკვეთრმა ცვლილებებმა გავლენა მოახდინოს მის ფულად ნაკადებსა და თვითღირებულებების კალკულაციაში;

ლიკვიდურობის რისკი - ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსების არსებობა, რათა მოხდეს არსებული სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. კომპანია ახდენს ლიკვიდურობის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

კომპანიის ბალანსის შემდგომ პერიოდში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ხელმძღვანელობას არ გააჩნია ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის გაგრძელების უნარი როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუმცა აუდიტის შესამოწმებელ და ბალანსის შემდგომ პერიოდში იყო მნიშვნელოვანი ცვლილება, კერძოდ:

მნიშვნელოვან გავლენას წარმოადგენს გავლენა შესყიდვების წესზე: კერძოდ საავადმყოფო ვეღარ განახორციელებს შესყიდვებს პირდაპირი შესყიდვის გზით და 2024 წლიდან დაექვემდებარება საქართველოს კანონს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“. აღნიშნული ცვლილება დადებითად აისახება კლინიკის გადამხდელუნარიანობის შესაფასებლად. სხვა ცვლილებები, რომლებსაც შეუძლია კომპანიის ფუნქციონირებადობაზე მოახდინოს გავლენა ამ ეტაპზე მოსალოდნელი არ არის.

მიხეილ ქამუშაძე

11.04.2025

სს “საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება”

კომპანიის ბალანსის შემდგომ პერიოდში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ხელმძღვანელობას არ გააჩნია ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის გაგრძელების უნარი როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუმცა აუდიტის შესამოწმებელ და ბალანსის შემდგომ პერიოდში იყო მნიშვნელოვანი ცვლილება, კერძოდ:

მნიშვნელოვან გავლენას წარმოადგენს გავლენა შესყიდვების წესზე: კერძოდ საავადმყოფო ვეღარ განახორციელებს შესყიდვებს პირდაპირი შესყიდვის გზით და 2024 წლიდან დაექვემდებარება საქართველოს კანონს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“. აღნიშნული ცვლილება დადებითად აისახება კლინიკის გადამხდელუნარიანობის შესაფასებლად. სხვა ცვლილებები, რომლებსაც შეუძლია კომპანიის ფუნქციონირებადობაზე მოახდინოს გავლენა ამ ეტაპზე მოსალოდნელი არ არის.

მიხეილ ქამუშაძე

11.04.2025



სს "საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება"

